

შპს «ენ-ჯი-ეს გრუპის»  
ს/ნ: 406263378

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

სექტემბერი 2023  
თბილისი

შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

1.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| შენ.                                    | 31 დეკ 2022    | 31 დეკ 2021      |
|-----------------------------------------|----------------|------------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>            |                |                  |
| ძირითადი საშუალებები                    | 84,139         | 102,105          |
| არამატერიალური აქტივები                 | 1,215          | 1,623            |
| <b>გრძელვადიანი აქტივების ჯამი</b>      | <b>85,354</b>  | <b>103,728</b>   |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>               |                |                  |
| მარაგები                                | 56,010         | 106,150          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები              | 172,064        | 217,047          |
| გადახდილი ავანსები                      | 56,673         | 61,100           |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები   | 318,480        | 845,777          |
| <b>მიმდინარე აქტივების ჯამი</b>         | <b>603,227</b> | <b>1,230,074</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                     | <b>688,581</b> | <b>1,333,802</b> |
| <b>კაპიტალი და რეზერვები</b>            |                |                  |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი    | (137,428)      | 780,510          |
| განაწილებული დივიდენდი                  |                | (157,052)        |
| გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი   | 734,069        | 110,611          |
| <b>კაპიტალის და რეზერვების ჯამი</b>     | <b>596,641</b> | <b>734,069</b>   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>          |                |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები           | 46,919         | 315,845          |
| საგადასახადო ვალდებულება                | 12,208         |                  |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები            | 32,813         | 283,888          |
| <b>მიმდინარე ვალდებულებების ჯამი</b>    | <b>91,940</b>  | <b>599,733</b>   |
| <b>კაპიტალის და ვალდებულებების ჯამი</b> | <b>688,581</b> | <b>1,333,802</b> |

ხელმოწერი პირი:

დირექტორი:

30 სექტემბერი, 2023წ.



/ნიკა ფიცხელაური/

შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

1.

2022 წლის 31 დეკემბრის სრული შემოსავლების ანგარიშგება

|                                        | შენ. | 2022 წელი        | 2021 წელი        |
|----------------------------------------|------|------------------|------------------|
| საოპერაციო შემოსავლები                 |      | 2,666,742        | 4,091,171        |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება    |      | (1,952,774)      | (2,848,367)      |
| <b>საერთო მოგება</b>                   |      | <b>713,968</b>   | <b>1,242,804</b> |
| მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები       |      | (8,257)          | (8,131)          |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები      |      | (787,973)        | (442,801)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>               |      | <b>(82,262)</b>  | <b>791,872</b>   |
| არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)       |      | (55,166)         | 16,353           |
| <b>მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</b>     |      | <b>(137,428)</b> | <b>808,225</b>   |
| მოგების გადასახადი                     |      |                  | (27,715)         |
| <b>წლის მოგება/(ზარალი)</b>            |      | <b>(137,428)</b> | <b>780,510</b>   |
| სხვა სრული შემოსავალი/ზარალი           |      |                  |                  |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი</b> |      | <b>(137,428)</b> | <b>780,510</b>   |

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023წ.



/ნიკა ფიცხელაური/

შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

1.

2022 წლის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

|                                        | კაპიტალი | აკუმულირებული<br>მოგება/ზარალი | სულ      |
|----------------------------------------|----------|--------------------------------|----------|
| 2021 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | -        | 734,069                        | 734,069  |
| პერიოდის შედეგი                        | -        | -137,428                       | -137,428 |
| 2022 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | -        | 596,641                        | 596,641  |

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023წ.



/ნიკა ფიცხელაური/

შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

1.

2022 წლის ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

|                                                            | 2022 წელი        |
|------------------------------------------------------------|------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>            |                  |
| მოგება დაბეგვრამდე                                         | (137,428)        |
| <b>კორექტირება:</b>                                        |                  |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                               | 31,135           |
|                                                            | <b>(106,293)</b> |
| <b>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>                       |                  |
| (ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში         | 50,140           |
| (ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში           | 44,983           |
| (ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში                        | 4,427            |
| ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში            | (268,926)        |
| ზრდა/(შემცირება) მიღებული ავანსებში                        |                  |
| ზრდა/(შემცირება) საგადასახადო აქტივი/ვალდებულება           | 12,208           |
| ზრდა/(შემცირება) სხვა მიმდინარე ვალდებულებებში             | (251,075)        |
| <b>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>                | <b>(514,536)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>          |                  |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                               | 22,498           |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა                              | -                |
| არამატერიალური აქტივების შეძენა                            | 3,347            |
| არამატერიალური აქტივების გაყიდვა                           | -                |
| <b>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</b>              | <b>25,845</b>    |
| <b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>             |                  |
| სხვა ცვლილება                                              | (38,606)         |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა                                   | -                |
| <b>წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან</b>                 | <b>(38,606)</b>  |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა</b> | <b>(527,297)</b> |
| <b>ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში</b>         | <b>845,777</b>   |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>          | <b>318,480</b>   |

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023წ.



/ნიკა ფიცხელაური/

შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

1.

საფირმო სახელწოდება: შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი“  
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405112676  
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი,  
ბაგები, კორპუსი N3, ბინა N15  
სავაჭრო მარკა: შპს ენ-ჯი-ეს გრუპი

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი: 10.08.2015

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა დირექტორი -  
ნიკა ფიცხელაური, 01008028653.  
საქართველო.

მესაკუთრე:

გიორგი ლაბაძე, 01020012451 – 50%-იანი წილის მმართველი;

ნიკა ფიცხელაური, 01008028653 - 50%-იანი წილის მმართველი;

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კომპიუტერული ტექნიკითა და აქსესუარებით ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული  
სერვისების უზრუნველყოფა, IT მომსახურება.  
კომპანია არ ფლობს ფილიალებს.

*წარმომადგენელი ანგარიშის ვალუტა*

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).  
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის  
საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში  
არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ  
დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა  
აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის  
შემდეგი:

|           |             |             |
|-----------|-------------|-------------|
| ვალუტა    | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
| 1 USD/GEL | 2.7020      | 3.0976      |
| 1 EUR/GEL | 2.8844      | 3.5040      |

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანი

სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანია, რომ დადგინდეს სააღრიცხვო პრინციპები, საფუძვლები, შეთანხმებები, წესები და პრაქტიკა, რომელსაც გამოიყენებს კომპანია შპს „“ (შემდეგში “კომპანია”) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის.

### მომზადების საფუძველი

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულია ყველა ის ძირითადი პრინციპი, რომელთა გამოყენებაც სავალდებულოა მსს ფასს შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ „მსს ფასს“-ში არ არსებობს ისეთი დებულება, რომელიც ეხება კონკრეტულ ოპერაციას, მოვლენასა თუ პირობას, კომპანია საკუთარი შეხედულების მიხედვით შეიმუშავებს და გამოიყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ქვემოთმოყვანილი ძირითადი დაშვებებისა და სხვა გამოყენებული პრინციპები საფუძველზე მომზადებულ ინფორმაციას.

### ძირითადი დაშვებები

ძირითადი დაშვებები, რომლებზეც დამყარებულია კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა არის დარიცხვის მეთოდი:

#### დარიცხვის მეთოდი

დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, კომპანია ეკონომიკურ მოვლენებსა და ოპერაციებს აღიარებს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი მოხდა და არა ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების მიღების/გადახდის დროს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საფუძვლად უდევს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდი. ამ მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან ისინი გატარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება. დარიცხვის მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს გააცნობს არა მხოლოდ წარსულ სამეურნეო ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს ფულადი საშუალებების გადახდასა და მიღებას, არამედ მომავალში გასანაღდებელ ვალდებულებებსა და მომავალი პერიოდის მოთხოვნებსაც. მაშასადამე, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინფორმაცია წარსულში მომხდარი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შესახებ, რომელიც სჭირდებათ მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

#### *ფუნქციონირებადი საწარმო*

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, ჩვეულებრივ, იგულისხმება, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს საპროგნოზო მომავალშიც (მინიმუმ თორმეტი კალენდარული თვე). ე.ი. იგულისხმება რომ საწარმო არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას ან თავისი საქმიანობის მასშტაბების საგრძნობლად შემცირებას. ხოლო თუ ასეთი განზრახვა ან საჭიროება არსებობს, მაშინ შესაძლოა საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადება სხვა საფუძველზე, რომელიც აღწერილი იქნება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

#### *შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა*

ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენად გათვალისწინებული ინფორმაცია სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შესახებ აუცილებელია აისახოს შინაარსისა და ეკონომიკური რეალობის, და არა მხოლოდ მათი სამართლებრივი ფორმის შესაბამისად. სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შინაარსი ყოველთვის არ შეესაბამება მის სამართლებრივ ფორმას. მაგალითად, ვთქვათ, ერთმა საწარმომ გადასცა მეორეს აქტივი საკუთრების უფლებით. მაგრამ, ხელშეკრულების თანახმად, პირველი საწარმო განაგრძობს ამ აქტივის გამოყენებით მიღებული ეკონომიკური სარგებლის ნაწილის მიღებას. ასეთ პირობებში აქტივის გაყიდვის ოპერაციის აღრიცხვა მისი სამართლებრივი ფორმის მიხედვით არ იქნება მისი ნამდვილი შინაარსის შესაბამისი.

#### *აქტივები*

**აქტივები** – არის წარსულში მომხდარი მოვლენებით მიღებული რესურსი, რომლისგანაც კომპანია მომავალში მოელის ეკონომიკურ სარგებელს და რომელსაც იგი აკონტროლებს.

აქტივების აღიარების კრიტერიუმები:

- მოცემული აქტივის გამოყენების შედეგად არსებობს ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა;
- აქტივის ღირებულება შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს.

აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აღარ აკმაყოფილებს მისი აღიარების განსაზღვრებას და/ან კრიტერიუმებს.

საბრუნავი კაპიტალის გათვლის და გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნით, კომპანიამ უნდა გამოყოს აქტივები, რომლებიც მუდმივად (საოპერაციო ციკლის განმავლობაში) ბრუნავენ საბრუნავი კაპიტალის სახით, იმ აქტივებისგან, რომლებიც გამოიყენება გრძელვადიან ოპერაციებში; ანუ კომპანიამ უნდა მოახდინოს ყოველი აქტივის კლასიფიკაცია და დაყოს ისინი გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებად.

აქტივი მიეკუთვნება მოკლევადიანს (მიმდინარეს, საბრუნავს) თუ:

- თუ ნავარაუდევია მისი რეალიზაცია ან იგი განკუთვნილია გასაყიდად ან გამოსაყენებლად კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში ჩვეულებრივ პირობებში;
- ის ძირითადად განკუთვნილია გაყიდვისათვის;
- მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს საანგარიშო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში; ან

- ის წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აკრძალულია მისი გაცვლა ან გამოყენება რაიმე ვალდებულების დაფარვის მიზნით საანგარიშო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა დანარჩენი აქტივი მიეკუთვნება გრძელვადიანს.

### *ვალდებულებები*

**ვალდებულებები** – ვალდებულება წარმოიშვა კომპანიის წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და არსებობს მოცემულ მომენტში. ის მომავალში გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულებათა აღიარების კრიტერიუმები:

- მოცემული ვალდებულების შესრულებისას, არსებობს მომავალში ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა;
- არსებობს ვალდებულების საიმედო შეფასების საშუალება.

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აღარ აკმაყოფილებს აღიარების განსაზღვრებას და/ან კრიტერიუმებს.

საბრუნავი კაპიტალის გათვლის და გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნით კომპანიამ უნდა მოახდინოს ყოველი ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებად.

ვალდებულება მოკლევადიანია (მიმდინარე) თუ:

- მისი დაფარვა ივარაუდება კომპანიის ჩვეულებრივ საოპერაციო პერიოდში;
- ძირითადად იგი გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა დანარჩენი ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

### *კაპიტალი*

კაპიტალი არის კომპანიის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება მთლიანი ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

### *შემოსავლები*

**შემოსავალი** — არის ეკონომიკური სარგებლის ზრდა, რაც გამოიხატება აქტივების ზრდით, ან ვალდებულებების შემცირებით, ამასთან რაც ზრდის კაპიტალს, მაგრამ არ არის დაკავშირებული დამფუძნებლის შენატანებთან.

შემოსავლების აღიარების კრიტერიუმები:

- არსებობს აქტივების ზრდასთან ან ვალდებულებათა შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა.
- შესაძლებელია მათი ღირებულების საიმედო შეფასება.

საანგარიშო პერიოდში აღიარებული შემოსავლების ყველა მუხლი აუცილებლად თანმიმდევრულად უნდა აღინიშნოს იმავე პერიოდის მოგება და ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები

ხარჯები – არის ეკონომიკური სარგებლის შემცირება აქტივების გასვლის ან შემცირების ფორმით; ან ვალდებულებათა გაზრდა, რაც გამოიხატება კაპიტალის იმ ნაწილში შემცირებით, რომელიც არ უკავშირდება აქციონერთა შენატანებს.

ხარჯების აღიარების კრიტერიუმები:

- არსებობს აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებათა ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირების ალბათობა.
- შესაძლებელია მათი ღირებულების საიმედო შეფასება.

საანგარიშო პერიოდში აღიარებული ხარჯების ყველა მუხლი აუცილებლად თანმიმდევრულად უნდა აღინიშნოს იმავე პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

*კონფლიქტი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებსა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან*

იმ შემთხვევაში თუ ძირითადი დაშვებები და ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღრიცხვა (პუნქტი 1), რომელიც მზადდება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლების შესაბამისად, კონფლიქტში მოვა ძირითად სააღრიცხვო პოლიტიკასთან ( პუნქტი 2), რომელიც მზადდება მსს ფასს-ის შესაბამისად, უპირატესობა ენიჭება მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას.

ძირითადი სააღრიცხვო პრინციპები

*შეცდომები, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და პოლიტიკაში*

არსებულ სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანისას და წინა პერიოდის გათვლით შეფასებებში ცვლილებისას და შეცდომების გასწორებისას კომპანია ხელმძღვანელობს მსს ფასს მე-10 განყოფილების „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“ შესაბამისად.

*ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში*

არსებულ სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს ცვლილება:

- მოითხოვება სტანდარტის ან ინტერპრეტაციის მიერ;
- უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო ინფორმაციის წარდგენას საწარმოს მიერ

განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, სამეურნეო საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

შემდეგი ქმედებები არ წარმოადგენს სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებებს:

- სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ისეთი ოპერაციების, მოვლენების ან პირობების მიმართ, რომლებიც თავისი არსით განსხვავდებიან ადრე მომხდარისაგან;
- ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ისეთი ოპერაციების, მოვლენების ან პირობების მიმართ, რომლებიც არ ხდებოდა ადრე ან არ იყო არსებითი.

სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებები აისახება რეტროსპექტიულად, რაც იმას ნიშნავს, რომ მან უნდა დააკორექტიროს პოლიტიკის ცვლილების გავლენას დაქვემდებარებული ფინანსური ანგარიშგების ყველა კომპონენტი, წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდთან ყველაზე ადრეულის საწყის ნაშთში, იმგვარად, რომ თითქოს მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენებოდა ყოველთვის.

რეტროსპექტიული გამოყენების შეზღუდვები და მათი გადაწყვეტის ხერხები:

- თუ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ზეგავლენა კონკრეტულ პერიოდზე პრაქტიკულად ვერ განისაზღვრება, კომპანია ასახავს ცვლილების კუმულატიურ ზეგავლენას ფინანსური ანგარიშგების იმ ელემენტებზე, რომელსაც ის შეეხო, ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისის მდგომარეობით, როცა ცვლილების გაკეთება შესაძლებელია რეტროსპექტიულად. რაც შეიძლება მიმდინარე პერიოდიც იყოს.
- თუ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების კუმულატიური ზეგავლენა პრაქტიკულად ვერ განისაზღვრება, კომპანია ვალდებულია დააკორექტიროს შედარებითი ინფორმაცია იმისათვის, რომ პერსპექტიულად გამოიყენოს ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა პრაქტიკულად შესაძლებელი ყველაზე ადრეული თარიღიდან.

#### *ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში*

გაანგარიშებული შეფასება — არის ფინანსური ანგარიშგების მუხლის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით მიღებული შეფასება, რომელიც შეუძლებელია ზუსტად გაითვალის.

გაანგარიშებულ შეფასებათა ცვლილების შედეგი აღიარდება პერსპექტიულად იმ პერიოდის მოგება-ზარალში ჩართვის გზით, რომელ პერიოდებზეც ამ ცვლილებამ იქონია გავლენა, ან იმ აქტივების, ვალდებულებების ან საკუთარი კაპიტალის იმ მუხლების საბალანსო ღირებულების კორექტირების გზით, რომლებზეც ამ ცვლილებამ იქონია გავლენა.

გაანგარიშებული შეფასების გადახედვა არ ეხება წინამორბედ პერიოდებს და არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას.

#### *შეცდომები*

ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული შეცდომები აისახება რეტროსპექტიულად:

- ა) ფინანსური ანგარიშგების იმ ელემენტთა გადაანგარიშებით, რომლებსაც ეს შეცდომები ეხება,

დაწყებული იმ პერიოდიდან, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა, ან

ბ) თუ შეცდომა დაშვებულ იქნა წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდთან ყველაზე წინა პერიოდამდე ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით.

რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენების შეზღუდვები და მათი გადაჭრის ხერხები:

თუ პრაქტიკულად შეუძლებელია შეცდომის ზეგავლენის განსაზღვრა კონკრეტულ პერიოდზე, კომპანია ასახავს მის კუმულატიური ზეგავლენას ყველაზე პირველივე პრაქტიკულად შესაძლებელი თარიღიდან ფინანსური ანგარიშგების იმ ელემენტებზე, რომელთაც ეს შეცდომა შეეხო;

თუ პრაქტიკულად შეუძლებელია შეცდომის კუმულატიური ზეგავლენის განსაზღვრა კორექტირებას ექვემდებარება შესადარისი ინფორმაცია, რათა პერსპექტიულად გაასწოროს შეცდომა, პირველივე პრაქტიკულად შესაძლებელი თარიღიდან.

#### *ძირითადი საშუალებები*

კომპანია აწარმოებს ძირითადი საშუალებების აღივსებას მსს ფასს 17 «ძირითადი საშუალებების» და მსს ფასს 27 «აქტივების გაუფასურების» შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები – არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

- იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება: წარმოებაში, ან საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;
- გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად;

#### *ძირითადი საშუალების შეფასება აღიარებისას*

ძირითადი საშუალება საწყისი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. ძირითადი

#### საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;
- დანახარჯები დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოზე, რომელიც წარმოიშობა პირდაპირ ძირითადი საშუალების შეძენასთან ან შექმნასთან დაკავშირებით;
- აქტივისათვის ადგილმდებარეობის მომზადების დანახარჯები;
- აქტივის ადგილზე მიტანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები;
- მონტაჟის დანახარჯები;
- ტესტირების დანახარჯები, მუშაობს თუ არა აქტივი გამართულად;

- პროფესიული მომსახურების დანახარჯები;
- ნებისმიერ სხვა დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც კომპანია იღებს შემენის მომენტში ან, შემდგომ, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში კომპანია იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისგან განსხვავებული საქმიანობისათვის;

დანახარჯების აღიარება ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში წყდება, როდესაც იგი მიტანილია დანიშნულების ადგილზე და ისეთ სამუშაო მდგომარეობაშია მოყვანილი, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად. ამიტომ დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გამოყენებასთან ან ხელახალ გადაადგილებასთან, არ შეიტანება საბალანსო ღირებულებაში.

*ძირითადი საშუალების თვითღირებულება არ მოიცავს:*

- ახალი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯებს;
- ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯებს (სარეკლამო საქმიანობის ღირებულების ჩათვლით);
- ახალ ადგილზე ან მომხმარებელთა ახალ კლასთან ბიზნესის წარმოების დანახარჯებს (პერსონალის სწავლების ჩათვლით);
- ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ზედნადებ დანახარჯებს;

კომპანია ძირითადი საშუალების დანახარჯებს აღიარებს მათი მოხდენისთანავე.

*შემდგომი დანახარჯების აღრიცხვა*

საწყისი აღიარების შემდგომი დანახარჯები - აღიარდება აქტივად, თუ:

- ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების საწყისი აღიარების შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის თვითღირებულებაში მათი გაწევისთანავე.

ძირითადი საშუალების თვითღირებულებაში არ ჩაირთვება მასზე გაწეული ყოველდღიური დანახარჯები (მაგ: მცირეფასიანი ნაწილების ღირებულება), ისინი აღიარდება მოგება-ზარალში მათი გაწევისთანავე.

კაპიტალური რემონტის მაგალითებია - შენობის არსებითი რემონტი, გაუმჯობესება, განახლება, დამატება რეკონსტრუქცია, რომელიც შეიძლება იყოს შენობის დიზაინის შეცვლა, სტრუქტურის გარდაქმნა, მიშენება, გაყვანულობის კაპიტალური შეცვლა, კონდიციონერის სისტემის შეცვლა, ცვლილება საკონონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით და სხვა. ზემოთ მოცემული არ წარმოადგენს ამომწურავ ჩამონათვალს.

#### *ძირითადი საშუალების ცვეთა*

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება და წყდება იმ დღიდან, როდესაც შეწყდება ამ აქტივის აღიარება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა არ წყდება მაშინ, როდესაც აქტივი ხდება გამოუყენებელი ან გამოსული არის აქტიური მოხმარებიდან. ცვეთის დარიცხვა გაგრძელდება სანამ აქტივის სრულად არ დაერიცხება ცვეთა (ან მიაღწევს სალიკვიდაციო ღირებულებას).

აქტივზე ცვეთის დარიცხვა ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს ყველა ძირითად საშუალებაზე. თითოეული ძირითადი საშუალების ცვეთის თანხის სიდიდე განისაზღვრება შემდეგი მონაცემებით:

- თავდაპირველი ღირებულება;
- სალიკვიდაციო ღირებულება;
- სასარგებლო მომსახურების ვადა.

#### *სასარგებლო მომსახურების ვადა – ეს არის:*

- პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება; ან
- პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საწარმოს მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრის დროს, ძირითადი საშუალების დაჯგუფება ხდება საამორტიზაციო ჯგუფების მიხედვით.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა თითოეული აქტივისათვის ხდება პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით. ასევე, კომპანიის მიერ ანალოგიური აქტივების ვადის გამოყენების გამოცდილებაზე.

ძირითად საშუალებებზე სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა კომპანიის მიერ ხორციელდება თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გასული წლის საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

*თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება*

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისთვის კომპანია იღენებს თვითღირებულების მეთოდს, იგი გულისხმობს, რომ ძირითადი საშუალებების კომპონენტები აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

*ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა*

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება:

ა) გაყიდვის შემთხვევაში, ან

ბ) როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი.

კომპანია აღიარებს ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, ერთეულის შემცვლელის ღირებულებას, როდესაც წყდება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება, იმის მიუხედავად, ხდება თუ არა შეცვლილი ნაწილის ცვეთის დარიცხვა ცალკე.

თუ ძირითადი საშუალების ერთეულის ჩამოწერის დროს, რჩება ისეთი ნაწილები ან მასალები, რომლის გამოყენებასაც კომპანია გეგმავს მომავალ პერიოდში, მაშინ ესეთი სახის მასალები ბუღალტერიაში აღიარდება მარაგების სახით და შეფასებული იქნება ამ აქტივის ნარჩენ ღირებულებას დამატებული ამ აქტივის დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯები, განაწილებული მასალების რაოდენობაზე.

შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა (თუ ასეთი არსებობს) და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის.

*არამატერიალური აქტივები*

კომპანია არამატერიალური აქტივების აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს 18 «არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა» და მსს ფასს 27 «აქტივების გაუფასურების» შესაბამისად.

*განმარტებები*

არამატერიალური აქტივი – არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე.

აქტივი არის იდენტიფიცირებადი, თუ იგი:

ა) განცალკევებადია, ე.ი. შესაძლებელია მისი გამოყოფა საწარმოდან და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზირება, გაქირავება ან გაცვა, ცალკე ან მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებასთან, აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა განზრახული საწარმოს ამის გაკეთება; ან

ბ) წარმოიქმნება სახელშეკრულებლო ან სხვა იურიდიული უფლებით, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული უფლებების გადაცემა ან განცალკევება საწარმოსგან ან სხვა უფლებებისა და მოვალეობებისგან.

### *სააღრიცხვო პრინციპები*

აქტივი კლასიფიცირდება როგორც არამატერიალური, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- ა) არის იდენტიფიცირებადი;
- ბ) არის კონტროლირებადი;
- გ) შესაძლებელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შეფასება იმისა თუ რამდენად მოელის კომპანია აქტივის გამოყენებით ეკონომიკურ სარგებლის მიღებას ყოველთვის ხდება პროფესიული მსჯელობის საფუძველზე.

### *არამატერიალური აქტივის საწყისი აღიარება*

არამატერიალური აქტივის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

შემენილი აქტივის თვითღირებულება მოიცავს:

- მისი შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლისა და შესყიდვის არადაბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, შეღავათებისა და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; და
- აქტივის გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს.
- დანახარჯები რომლებიც არ გაითვალისწინება არამატერიალური აქტივის შესყიდვის თვითღირებულებაში:
- ახალი პროდუქტის ან მომსახურების ათვისების დანახარჯები;
- ახალ ადგილზე ან კლიენტების ახალ ჯგუფთან ბიზნესის წარმოების დანახარჯები (თანამშრომელთა გადამზადების დანახარჯების ჩათვლით);
- ადმინისტრაციისა და სხვა საერთო ზედნადები ხარჯები;
- დანახარჯები, რომლებიც გაწეულია იმ დროს, როცა აქტივი რომელიც იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება საწარმოს ხელმძღვანელობისათვის საჭირო ფორმით, ჯერ არ არის გამოყენებული; და
- საწყისი საოპერაციო დანაკარგები, როგორცაა დანაკარგები წარმოშობილი აქტივის პროდუქტზე მოთხოვნის ჩამოყალიბების დროს.

### *შემდგომი დანახარჯების აღრიცხვა*

არამატერიალურ აქტივზე საწყისი აღიარების შემდგომ დანახარჯი აღიარდება ხარჯის სახით მაშინ, როდესაც დანახარჯი იქნა გაწეული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი არის იმ არამატერიალური აქტივის თვითღირებულების ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს მისი აღიარების კრიტერიუმს.

საწარმოთა გაერთიანებისას შემენილი არამატერიალური აქტივი აღიარდება აქტივად, თუ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შემენის თარიღისთვის შესაძლებელია მიზანშეუწონელი

დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული დანახარჯები მიიჩნევა შეძენის თარიღით გუდვილად აღიარებული თანხის ნაწილად.

#### *არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია*

აქტივზე ამორტიზაციის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება და წყდება იმ დღიდან, როდესაც შეწყდება ამ აქტივის აღიარება. აქტივზე ამორტიზაციის დარიცხვა არ წყდება მაშინ, როდესაც აქტივი ხდება გამოუყენებელი ან გამოსული არის აქტიური მოხმარებიდან. ამორტიზაციის დარიცხვა გაგრძელდება იქამდე სანამ აქტივს სრულად არ დაერიცხება ამორტიზაცია.

ამორტიზაციის დარიცხვა აქტივზე იწყება იმ თვის პირველი რიცხვიდან რომელშიც იქნა ექსპლუატაციაში შესული და წყდება ამორტიზაციის დარიცხვა იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელშიც მოხდება აქტივის გაყიდვა, ჩამოწერა ან გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირება.

აქტივზე ამორტიზაციის დარიცხვას კომპანია აწარმოებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ყოველი პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია იყენებს ამორტიზაციის დარიცხვის „წრფივ მეთოდს“ ყველა არამატერიალურ აქტივზე.

თითოეული არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის თანხის სიდიდე განისაზღვრება შემდეგი მონაცემებით:

- თავდაპირველი ღირებულება;
- ნარჩენი ღირებულება;
- სასარგებლო მომსახურების ვადა.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრის დროს, არამატერიალური აქტივების დაჯგუფება ხდება საამორტიზაციო ჯგუფების მიხედვით.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა თითოეული აქტივისათვის დაყრდნობილია პროფესიულ მსჯელობაზე და, ასევე შემდგომში, კომპანიის მიერ ანალოგიური აქტივების ვადის გამოყენების გამოცდილებაზე.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

#### *თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება*

არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარების შემდგომ შეფასებას კომპანია ახორციელებს ანალოგიური პრინციპებით როგორც ძირითადი საშუალების შემდგომი აღრიცხვის დროს

#### *არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა*

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტას კომპანია ახორციელებს ანალოგიური პრინციპებით, როგორც

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის დროს.

#### *მარაგების აღრიცხვა*

კომპანია მარაგებს აღრიცხავს მსს ფასს 13 «მარაგების» შესაბამისად.

#### *განმარტებები*

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები არის ისეთი აქტივები, რომლებიც:

ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;

ბ) მონაწილეობენ წარმოების პროცესში და ასევე გათვალისწინებულია გასაყიდად;

გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

#### *სააღრიცხვო პრინციპები*

##### *მარაგების საწყისი აღიარება*

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულება მოიცავს:

- მათი შეძენის (ნასყიდობის) ფასი;
- საიმპორტო საბაჟო გადასახადი და სხვა გადასახადები (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს);
- ტრანსპორტირების ხარჯი;
- მივლინების დანახარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მარაგის შეძენასთან;
- გადამუშავების დანახარჯი;
- სხვა დანახარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული შეძენასთან, დანიშნულების ადგილამდე მიტანა და გადატვირთვა;
- შესყიდვის ან გადამუშავების დროს ნორმატიული დანახარჯი .

შეძენის დროს მიღებული სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების

#### *მარაგების შეფასება*

მარაგების ღირებულების განსაზღვრისათვის ყველა სახის მარაგზე იყენებს ჩამოწერის საშუალო შეწონილ მეთოდს.

ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, ნეტო სარეალიზაციო ღირებულება ხელახლა გაიანგარიშება. თუ აღარ არსებობს ის გარემოებები, რომლებმაც გამოიწვიეს მარაგების თავდაპირველი ჩამოფასება თვითღირებულებაზე დაბლა, უნდა მოხდეს ჩამოწერილი თანხის კომპენსაცია.

ნებისმიერი მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხა, აგრეთვე მარაგების დანაკარგის თანხები, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა, უნდა აღიარდეს იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული მაშინ, როდესაც მოხდა უკუგატარება.

#### *სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები*

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ვალდებულებებს კომპანია აღრიცხავს შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად: მის ფასს მე-11 განყოფილება «ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები», მის ფასს მე-12 განყოფილების «სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები».

#### *განმარტებები*

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები – მოიცავს მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს, ამ მოთხოვნებთან დაკავშირებულ საექვო ვალების რეზერვს, თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემულ თანხებს, გადახდილ ავანსებს და სხვა დებიტორულ დავალიანებებს. დებიტორული დავალიანება მოიცავს კომპანიის წინაშე წარმოქმნილ კონტრაგენტების დავალიანებას, რომელიც წარმოქმნილია მიმდინარე და კაპიტალური ხასიათის ოპერაციების შედეგად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშების გარდა).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები – მოიცავს მომსახურების გაწევის დროს წარმოქმნილ ვალდებულებებს კონტრაგენტების წინაშე, სახელფასო ვალდებულებებს, მიღებულ ავანსებსა და სხვა არასავაჭრო ვალდებულებებს, რომელიც წარმოქმნილია მიმდინარე და კაპიტალური ხასიათის ოპერაციების შედეგად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშების გარდა).

კონტრაგენტი – არის ჩვეულებრივი სავაჭრო ან სხვა კაპიტალური ოპერაციების დროს გარიგებაში მონაწილე მხარე.

დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ამორტიზებადი ღირებულება – არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება საწყისი აღიარების დროს, შემცირებული ძირითადი გადასახდელი თანხებით, დამატებული ან გამოკლებული თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით აკუმულირებული ამორტიზაციით და გამოკლებული (უშუალოდ ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი ან ამოუღებლობის ნებისმიერი დანაკარგები.

აღრიცხვის მიზნებისთვის კომპანია აღიარებს დებიტორული და კრედიტორული ანგარიშების შემდეგ კლასიფიკაციას:

- მოკლევადიანი – არის ანგარიშები, რომელთა შესაძლო დაფარვის ვადა განისაზღვრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ 12 თვით.
- გრძელვადიანი – სხვა ყველა დანარჩენი

#### *სააღრიცხვო პრინციპები*

#### *აღიარების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები*

#### დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების საწყისი აღიარება და შეფასების კრიტერიუმები

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების (შეთანხმების) მონაწილე და სრულდება შემდეგი პირობები:

- არსებობს აღნიშნული აქტივიდან (ვალდებულებიდან) ეკონომიკური სარგებელის მიღების (გასვლის) მაღალი ალბათობა;
- აქტივის ან ვალდებულების ღირებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

თავდაპირველი აღიარებისას დებიტორული და კრედიტორული დავალიანება და სესხები ფასდება რეალური ღირებულებით (გარიგების ღირებულებით), გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება და სესხები შემდგომ ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

#### *ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა (ჩათვლა)*

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა უნდა მოხდეს და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახოს ნეტო თანხით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) საწარმოს აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება; და

ბ) საწარმო ვარაუდობს, რომ დაფარვა განახორციელოს ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად განახორციელოს.

ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემის აღრიცხვის დროს, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, საწარმოს არა აქვს გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება.

წინამდებარე სტანდარტით მოითხოვება, რომ ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარდგენილ იქნეს ნეტო საფუძველზე, როდესაც ასეთი წარდგენა ასახავს საწარმოში მოსალოდნელ ფულადი სახსრების ნაკადს, ორი ან ორზე მეტი ცალკე აღებული ფინანსური ინსტრუმენტით ანგარიშსწორებიდან. როდესაც საწარმოს მხოლოდ ერთი ნეტო თანხის მიღების ან გადახდის უფლება აქვს და ამის გაკეთებას აპირებს,

ეს ნიშნავს, რომ მას, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება აქვს. სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარედგინება ცალ-ცალკე, მათი მახასიათებლების მიხედვით, საწარმოს რესურსების ან ვალდებულებების სახით.

*სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა განმარტებები*

სამუშაო ვალუტა – არის ვალუტა, რომელიც გამოიყენება ძირითად ეკონომიკურ სფეროში, რომელშიც ორგანიზაცია აწარმოებს საქმიანობას.

წარდგენის ვალუტა – არის ვალუტა, რომელშიც კომპანია წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას.

ფულადი მუხლები - არის საწარმოს განკარგულებაში არსებული ფული, მისაღები აქტივები და გასანაღდებელი ვალდებულებები, რომლებიც გადახდილი ან მიღებული იქნება ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობის ფულის ერთეულებით.

არაფულადი მუხლი - მუხლი, რომლისთვისაც დამახასიათებელი არსებითი ნიშანია ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობის ფულის ერთეულების მიღების უფლების (ან მიწოდების ვალდებულების) არარსებობა.

*სააღრიცხვო პოლიტიკა*

ოპერაციებში კომპანია სამუშაო ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მის ფასს 30- ის „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში“ მოთხოვნების შესაბამისად.

*ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:*

ა) უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის გამოყენებით საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით

ბ) არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეტოდიით, გადაანგარიშდება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსი

გ) არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

*მიმდინარე და გადავადებული გადასახადების აღრიცხვა*

მიმდინარე და გადავადებულ გადასახადი აღირიცხება მის ფასს 29-ე განყოფილების “მოგების გადასახადი” მიხედვით.

*მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადის საწყისი აღიარება*

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის თავისებურებიდან გამომდინარე არ არსებობს დროებითი სხვაობები საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო ღირებულებას შორის, შესაბამისად გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება არ აღიარდება.

შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არა უგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

კომპანია მოგების გადასახადს აღიარებს დივიდენდის განაწილებისას იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდის განაწილებას, მიუხედავად იმისა რომელ პერიოდში გაიცემა დივიდენდი ან რომელი პერიოდის მოგებიდან გაიცემა დივიდენდი.

#### *განმარტებითი შენიშვნები*

მიმდინარე და გადადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარდგება ცალ-ცალკე ბალანსში. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება და აქტივი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

#### *შემოსავლები*

შემოსავლები აღირიცხება მსს ფასს 23-ე განყოფილების «ამონაგები» მოთხოვნების შესაბამისად.

#### *შემოსავლების ჯგუფები*

კომპანია შემოსავლებს დაყოფას ახდენს შემდეგნაირად:

- შემოსავლები ძირითადი საოპერაციო საქმიანობიდან;
- შემოსავლები არასაოპერაციო საქმიანობიდან.

*ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება:*

- შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან;
- შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან;

*არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება:*

- შემოსავლები კურსთაშორისი სხვაობიდან

#### *სააღრიცხვო პრინციპები*

შემოსავალი აღიარდება როდესაც დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- მოსალოდნელია საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა, რომელიც გამოხატულია საწარმოში აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირებით; და
- სარგებლის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

კომპანია შემოსავლებს იღებს წინასწარი შეთანხმებული ფასის მიხედვით. კერძოდ, კომპანიას ძირითად შემთხვევებში მყიდველის დაკვეთის მიხედვით ახდენს პროდუქციის შეძენას შემდგომი რეალიზაციის მიზნით. კომპანია საქონლის/მომსახურების ღირებულებას იღებს ავანსად, ან წინასწარ შეთანხმებულ ვადებში რეალიზაციის შემდგომ.

#### *საქონლის გაყიდვა*

შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს/მიიღებს მომსახურებას. კომპანია შემოსავლად აღიარებს გარიგების ღირებულების ოდენობას, რაც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელზე შეგროვებულ თანხებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულება გაყიდვებთან დაკავშირებული ფასდაკლებების და შეღავათების, დღგ-ს და სხვა გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

#### *ხარჯები განმარტებები*

ხარჯი – არის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური სარგებელის შემცირება აქტივების გასვლის ან ვალდებულების გაზრდა, რომელთაც გამოიწვიეს კაპიტალის შემცირება. ხარჯებს არ უკავშირდება პარტნიორებს შორის კაპიტალის განაწილება.

#### *ხარჯების კლასიფიკაცია და დაჯგუფება*

კომპანია შემოსავლებისა და ხარჯების ტიპებს მოგება–ზარალში ასახავს „ხარჯების ეკონომიკური შინაარსის“ მიხედვით:

2022 წლის საოპერაციო ხარჯების კლასიფიკაცია:

| საოპერაციო ხარჯები                                                    | 796,230 |
|-----------------------------------------------------------------------|---------|
| შრომის ანაზღაურების ხარჯი                                             | 609,641 |
| საპენსიო შენატანის ხარჯი                                              | 12,780  |
| დაზღვევის ხარჯი                                                       | 13,005  |
| თანამშრომლის სარგებლის ხარჯი                                          | 4,287   |
| იჯარის ხარჯი                                                          | 25,519  |
| ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი                                    | 40,928  |
| არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი                           | 3,321   |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                                               | 106     |
| TechUp ხარჯები                                                        | 1,874   |
| ჯარიმის ხარჯი                                                         | 1,243   |
| ჯარიმების ხარჯი წარმომადგენლობითი ხელშეკრულების პირობების დარღვევიდან | 135     |
| საგარანტიო ხარჯები                                                    | 80      |
| ტენდერში მონაწილეობის ხარჯი                                           | 1,671   |
| მარკეტინგული ხარჯები                                                  | 8,257   |
| მივლინების ხარჯი                                                      | 23,679  |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                                          | 36,574  |
| კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები                      | 4,912   |
| ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები                           | 1,453   |
| სხვა საერთო ხარჯები                                                   | 6,765   |

### *სხვა საოპერაციო ხარჯების აღიარება და შეფასება*

ბუღალტრულ აღრიცხვაში ხარჯები აღიარდება მაშინ, როდესაც შესრულდება შემდეგი პირობები:

- შესაძლებელია ხარჯის სიდიდის საიმედოდ განსაზღვრა;
- თუ საწარმოდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების გაზრდასთან.

თუ გაწეულ ხარჯს არ მიეცევა მოსალოდნელ ეკონომიკურ სარგებელთან, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ ან აღარ შეესაბამება აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, მაშინ გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც გამოვლინდება აღნიშნული გარემოებები.

დარიცხვის მეთოდის შესაბამისად ხარჯი აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც იქნა გაწეული და არა მაშინ, როდესაც მიღებული იქნა პირველადი დოკუმენტები, ან გადახდილი იქნა ფულადი სახსრები.

### *საიჯარო ხარჯი:*

კომპანია იჯარას აღრიცხავს მსს ფასს 20 «იჯარის» მოთხოვნების შესაბამისად.

### *განმარტებები*

იჯარა - არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად მეიჯარე, საიჯარო გადასახდელის ან გადასახდელების სერიის მიღების მიზნით, მოიჯარეს გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

### *კლასიფიკაცია*

იჯარის კლასიფიცირება ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად ეფუძნება ხელშეკრულების შინაარსს და არა მის იურიდიულ ფორმას.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

### *საოპერაციო იჯარის აღრიცხვა მოიჯარესთან*

საოპერაციო იჯარის დროს, საიჯარო გადასახდელები საიჯარო ვადის განმავლობაში აღიარდება ხარჯად/შემოსავლად წრფივი მეთოდის მიხედვით.

### *პერსონალის ხარჯი:*

#### *განმარტება*

მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, მაგალითად: ხელფასები, საპენსიო შენატანები, ფასიანი წლიური შვებულება და ბიულეტენი, მოგებაში მონაწილეობა და ბონუსები და არაფულადი დახმარებები (მაგალითად: სამედიცინო დაზღვევა) არსებულ თანამშრომელთათვის.

#### *აღიარება და შეფასება*

საწარმოს მოეთხოვება აღიაროს:

ა) ვალდებულება მაშინ, როდესაც მომუშავემ მომსახურება გასწია მომავალში გასამრჯელოს მიღების სანაცვლოდ; და

ბ) ხარჯი მაშინ, როდესაც საწარმო მოიხმარს იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღო მომუშავეს მიერ გასამრჯელოს სანაცვლოდ გაწეული მომსახურებიდან.

მიმდინარე მოვალეობა მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

#### *კლასიფიკაცია*

მომუშავეთა გასამრჯელოებს განეკუთვნება:

ა) მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, მაგალითად: ხელფასები, საპენსიო შენატანები, წლიური ფასიანი შვებულება და ბიულეტენი, მოგების განაწილება და ბონუსები და არაფულადი დახმარებები (მაგალითად: სამედიცინო მომსახურება) არსებულ თანამშრომელთათვის;

#### *კაპიტალი*

კაპიტალი – წარმოადგენს აქტივების ნაწილს, რომლებიც ეკუთვნის მესაკუთრეებს და დგინდება, როგორც სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებას შორის.

კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალისგან.

#### *სააღრიცხვო პრინციპები*

##### *გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი*

კომპანიის საქმიანობის შედეგები და გამოცხადებული დივიდენდები აისახება გაუნაწილებელი მოგების/დაგროვილი ზარალის ანგარიშზე.

##### *ფულადი საშუალებები განმარტებები*

ფულადი საშუალებები – არის კომპანიის ფულადი საშუალებები სალაროში, ბანკში მიმდინარე ანგარიშზე და მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშზე არსებული თანხები.

ფულადი სახსრების ექვივალენტები – არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცილება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

#### *აღრიცხვა და წარდგენა*

კომპანიის ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი სახსრები საბანკო აგარიშზე გადანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის გამოყენებით.

#### *საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები განმარტება*

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც ხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ნებადართულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. შეიძლება გამოიყოს ორი ტიპის მოვლენა:

- მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებზე (საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები); და
- მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რაც შეიძლება წარმოიშვას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში (საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები).

#### *აღრიცხვა და წარდგენა*

საწარმომ უნდა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით.

საწარმომ არ უნდა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენების მაგალითია ინვესტიციების საბაზრო ღირებულების დაცემა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად ნების დართვის თარიღამდე. საბაზრო ღირებულების დაცემა, ჩვეულებრივ, არ ეხება ინვესტიციების პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, არამედ ასახავს გარემოებებს, რომლებიც წარმოიშვა მომდევნო პერიოდში.

#### *3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას*

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

*ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა.*

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივების მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოზე, სადაც გამოიყენება აქტივი. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორებები.

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

30 სექტემბერი, 2023წ.



/ნიკა ფიცხელაური/